პავლე მოციქულის წერილი ტიტეს მიმართ

ხარისხი ეკლესიის სამსახურში

1 პავლე, ღვთის მონა და იესო ქრისტეს მოციქული, ღვთის რჩეულებს რწმენით და ჭეშმარიტების შეცნობით, ღვთისმოსაობის შესაბამისად,

2 საუკუნო სიცოცხლის სასოებით, რომელიც აღუთქვა უტყუარმა ღმერთმა უწინარეს საუკუნეთა.

3 ხოლო თავის დროზე გამოაცხადა თავისი სიტყვა ქადაგებაში, რომელიც მომენდო მე ჩვენი მაცხოვარი ღვთის ბრძანებით.

4 ტიტეს, ნამდვილ შვილს საერთო რწმენაში, მადლი, წყალობა და მშვიდობა მამა ღვთისაგან და ჩვენი მაცხოვრის, ქრისტე იესოსაგან.

5 იმისათვის დაგტოვე შენ კრეტაში, რომ დაასრულო დაუსრულებელი და დააყენო ყველა ქალაქში ხუცესები, როგორც მე დაგავალე.

6 თუ არის ვინმე უმწიკვლო, ერთი ცოლის ქმარი, ჰყავს მორწმუნე შვილები, გარყვნილებასა და ურჩობაში ბრალდაუდებელნი.

7 ვინაიდან ეპისკოპოსი უნდა იყოს უმწიკვლო, როგორც ღვთის მნე, არა თვითნება, არა გულფიცხი, არა ლოთი, არა მოჩხუბარი, არა ანგარების მოყვარე,

8 არამედ სტუმართმოყვარე, კეთილის მოყვარული, აზრიანი, მართალი, წმიდა,

9 სარწმუნო სიტყვის მიმდევარი მოძღვრების მიხედვით, რომ შეძლოს საღი მოძღვრებით შეაგონოს და დაარწმუნოს მოკამათენი.

ამხიერ იუდეველთა ზღაპრები

10 ვინაიდან ბევრია ურჩი, ყბედი და მატყუარა, განსაკუთრებით წინადაცვეთილთაგან,

11 რომლებსაც უნდა აეკ-
რათ პირები. ისინი რყვნიან
ყველა სახლს, ასწავლიან,
რასაც არ უნდა ასწავლიდ-
ნენ, სამარცხვინო ანგარე-
ბისთვის.
12 ერთ-ერთმა მათგანმა,
მათმავე წინასწარმეტყველმა
თქვა: „კრეტელნი მუდამ
ცრუნი არიან, ბოროტი მხე-
ცები, უქნარა სტომაქები“.
13 ეს მოწმობა სამართლი-
ანია. ამ მიზეზით ამხილე ისი-
ნი მკაცრად, რათა ისინი საღ-
ნი იყვნენ რწმენაში.
14 ყურად არ იღონ იუდე-
ველთა ზღაპრები და იმ კაც-
თა მცნებანი, ვინც განერიდა
ჭეშმარიტებას.
15 წმიდათათვის ყველაფე-
რი წმიდაა, ხოლო წაბილ-
წულთა და ურწმუნოთათვის
არაფერია წმიდა, არამედ წა-
ბილწულია მათი გონებაც და
სინდისიც.
16 ისინი სიტყვით აღიარე-
ბენ ღმერთს, საქმეებით კი
უარყოფენ, ვინაიდან საძა-
გელნი და ურჩნი არიან და
უვარგისნი ყოველი კეთილი
საქმისათვის.

მოხუცთა და ქაბუკთა მოვალეობანი

2 შენ კი ილაპარაკე ის,
რაც შეეფერის საღ მოძ-
ღვრებას,
2 რათა ბერიკაცები იყვ-
ნენ ფხიზელნი, ღირსეულნი,
აზრიანნი, საღნი სარწმუნო-
ებაში, სიყვარულში, მოთმი-
ნებაში.
3 ასევე მოხუცი დედაკა-
ცებიც – ქცევით ღირსეულ-
ნი, არა ცილისმწამებელნი,
არა ღვინის მონანი, არამედ
სიკეთის მასწავლებელნი,
4 რათა ასწავლონ ყმაწ-
ვილქალებს, უყვარდეთ
ქმრები, უყვარდეთ შვილე-
ბი,
5 იყვნენ აზრიანნი, სუფ-
თანი, ოჯახზე მზრუნველნი,
კეთილნი, თავიანთი ქმრების
მორჩილნი, რათა არ იგმობ-
დეს ღვთის სიტყვა.
6 ჭაბუკებსაც შეაგონე,
რომ თავშეკავებულნი იყვ-
ნენ.
7 ყველაფერში გამოიჩინე
თავი კეთილ საქმეთა მაგალი-
თად: მოძღვრებაში – შეურ-
ყვნელობა, სიდინჯე,

8 სიტყვა ნათელი, უკიცხველი, რათა მოწინააღმდეგეს შერცხვეს და ცუდი ვერაფერი თქვას ჩვენზე.

9 მონები თავიანთ პატრონებს დაემორჩილონ ყველაფერში, აამონ, სიტყვას ნუ შეუბრუნებენ,

10 არაფერი მოიპარონ, არამედ გამოიჩინონ სრული ერთგულება, რათა ყველაფრით შეამკონ ჩვენი მაცხოვარი ღვთის მოძღვრება.

ღვთის მადლის გამოჩენა

11 ვინაიდან გამოჩნდა ღვთის მადლი, ყველა ადამიანის მხსნელი,

12 ჩვენს დასამოძღვრად, რათა უარვყოთ უღვთოება და ამქვეყნიური გულისთქმანი, და ვიცხოვროთ ამ საუკუნეში აზრიანად, სიმართლით და ღვთისმოსაობით.

13 მოველოდეთ ნეტარ სასოებას და ჩვენი დიდი ღმერთისა და მაცხოვრის ქრისტე იესოს დიდების გაცხადებას,

14 რომელმაც თავი დასდო ჩვენთვის, რათა გამოვესყიდეთ ყოველგვარი ურჯულოებისაგან და განეწმიდა თავისთვის რჩეული ხალხი, კეთილი საქმეების მოშურნე.

15 ეს ელაპარაკე, შეაგონე და ამხილე მთელი ძალით. ნურც ნურვინ უგულებელგყოს შენ.

ახა საქმეებით, ახამედ მადლით

3 შეახსენე მათ: დაემორჩილონ და მოუსმინონ განმგებელთ და ხელისუფალთ, მზად იყვნენ ყოველგვარი კეთილი საქმისათვის.

2 არავინ დაძრახონ, იყვნენ მშვიდობისმოყვარენი, შემწყნარენი, იჩენდნენ სიმშვიდეს ყველა ადამიანის მიმართ.

3 ვინაიდან ოდესღაც ჩვენც ვიყავით უმეცარნი, ურჩნი, გზააბნეულნი, სხვადასხვა გულისთქმათა და განცხრომათა მონები, ვცხოვრობდით ღვარძლით და შურით, ვიყავით საძულველნი და ერთიმეორის მოძულენი.

4 ხოლო, როცა გაცხადდა ჩვენი მაცხოვარი ღმერთის

სახიერება და კაცთმოყვარეობა,

5 მან გვიხსნა არა მართალი საქმეების გამო, რომლებიც ჩვენ ჩავიდინეთ, არამედ თავისი წყალობით, ხელახლა შობის განბანითა და სულიწმიდის მიერ განახლებით,

6 რომელიც უხვად მოგვეფინა ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს მიერ,

7 რათა, მისი მადლით გამართლებულები, გავხდეთ საუკუნო სიცოცხლის მემკვიდრენი, რისი იმედიც გვაქვს.

განეხიდე ჯინჯღაობას

8 სარწმუნოა სიტყვა. მე მსურს, რომ შენ მტკიცედ იდგე ამაზე, რათა ღვთის მორწმუნენი ცდილობდნენ კეთილი საქმეების კეთებას. ეს კარგი და სასარგებლოა ადამიანთათვის.

9 მოერიდე სულელურ პაექრობას, გვარ-ტომობას, კინკლაობასა და დავას რჯულის თაობაზე, ვინაიდან უსარგებლო და ფუჭია.

10 მწვალებელს პირველი და მეორე შეგონების შემდეგ გაერიდე.

11 იცოდე, რომ ასეთი კაცი გაირყვნა და სცოდავს: მისმავე თავმა დასდო მას მსჯავრი.

12 როცა გამოგიგზავნი არტემასს და ტვიქიკოსს, გამოეშურე ჩემსკენ ნიკოპოლისში, ვინაიდან იქ ვირჩიე დაზამთრება.

13 დაიჩქარე მათ გზაზე რჯულის მცოდნე ზენასი და აპოლოსი, რომ არაფერი აკლდეთ.

14 ჩვენიანებმაც ისწავლონ კეთილი საქმეების კეთება უკიდურეს გასაჭირში დასახმარებლად, რათა უნაყოფონი არ იყვნენ.

15 ყველა ჩემთან მყოფი მოგიკითხავს შენ. მოკითხვა, ვისაც ვუყვარვართ რწმენით. მადლი თქვენთან ყველასთან. ამინ.